



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბაქრაძე აკაკი ვიქტორის ძე



ბაქრაძე აკაკი ვიქტორის ძე (29. III. 1928, თბილისი, – 5. XII. 1999, იქვე), კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, პუბლიცისტი, საბ. მოღვაწე.

დაამთავრა თსუ-ის ისტ. ფაკ-ტი (1953). მუშაობდა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სასცენარო განყ-ბის ჯერ რედაქტორად, შემდეგ უფროს რედაქტორად (1955 – 60, 1961), შემდეგ სასცენარო-სარედაქციო განყ-ბის მთავარ რედაქტორად (1964–68).

ა. ბაქრაძე

იყო საქართვე. რუსთაველის სახ. სახელმწ. თეატრის დირექტორი (1973–80), საქართვე. კინემატოგრაფიის სახელმწ. კომიტეტის მთავარი რედაქტორი (1986 – 88), კ.

მარჯანიშვილის სახ. სახელმწ. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი (1988–89). პირველი წერილი (რეცენზია ფილმზე „ჩვენი ებო“, 1957) გამოაქვეყნა ჟურნ. „ცისკარში“. 1966 გამოსცა პირველი წიგნები: „კინოკრიტიკული ეტიუდები“ და „კრიტიკული წერილები“. წიგნში „მითოლოგიური ენგადი“ (1969) ბ. ერთ-ერთი პირველი იკვლევდა თანამედროვე ქართ. მწერლობაში მითოლოგიზაციის პროცესს, წიგნში „ილია ჭავჭავაძე“ (1984) ახალი კუთხით გააანალიზა დიდი მწერლისა და მოღვაწის შემოქმედების, მსოფლმხედველობისა და ტრაგიკული აღსასრულის პრობლემები. მისი სხვა მნიშვნელოვანი წიგნებია: „სჯანი“ (1972), „ფიქრი და განსჯა“ (1972), „კრიტიკული გულანი“ (1977), „მარად და ყველგან საქართველოვ მე ვარ შენთანა“ (1978), „ბილპილმოყრილი მადლი“ (1981), „სულის ზრდა“ (1986), „კინო. თეატრი“ (1989), „ნიკო ნიკოლაძე“ (1989), „რწმენა“ (1990),

„მწერლობის მოთვინიერება“ (1990), „ილია და აკაკი“ (1993), „დანუნებული გზა“ (1995).

1989 აირჩიეს სრულიად საქართველოს რუსთაველის საზ-ბის პრეზიდენტად (შემდეგ – საპატიო პრეზიდენტი). იყო სსრკ სახ. დეპუტატი, სსრკ უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს წევრი (1989–91). გელათის მეცნ. აკად. წევრი (1995).

თხზ.: ცამეტი წელიწადი კინოში; ნიღბების სამყაროში, თბ., 1996; კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი, თბ., 1999; მითოლოგიური ენგადი, თბ., 2000; ნინო ჭავჭავაძის უკანასკნელი ღამე (პიესა ერთი მსახიობის თეატრისათვის), თბ., 2000; თხზულებანი რვა ტომად, თბ., 2004-06.

კ. იმედაშვილი
